

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 44565996,12 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 33604222,62 ლარს, ტრანსფერი - 10961773,50 ლარს.

შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) განსაზღვრულია 38891366,84 ლარით, აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა შეადგენს 28923440,0 ლარს, ხოლო დარჩენილი 9967926,84 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 250,000.0 ლარი და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი - 2618888,84 ლარი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 5867043,0 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი - 1 232 000,00 ლარი.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 5694,246.28 ლარი, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებას ექვემდებარება 19,617 ლარი, მათ შორის 12550,53 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 7066,47 ლარი კაპიტალური ტრანსფერი. დარჩენილი 5674,629,28 ლარიდან 4680,782.62 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 993,846.66 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 25357,62 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.კირაჩ-მულანლოს სასმელი წყალი, 71,806.0 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ რეაბილიტაცია) ნაშთი, 387,585.72 ლარი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით გამოყოფილი თანხის (საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირება) ნაშთი, 237077,32 ლარი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით გამოყოფილი თანხის (სოფ.სადახლოს, ქურთლიარის, შაუმიანის სასწრაფოს მშენებლობა) ნაშთი, 217,215 ლარი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №136 განკარგულების საფუძველზე სოფ.ბურმაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე მიმართული თანხა, 54,805 ლარი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №137 განკარგულების საფუძველზე ქ.მარნეულში და სოფ.აზიზქენდსა და წერაქვში მინი სტადიონების მოწყობის სამუშაოების დაფინანსება.

რაც შეეხება 2020 წლის 3 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები სამი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო **6 717 155,72**ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა **5 426 795,69** ლარი, რაც გეგმის 80,8%-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო **6 637 155,72**ლარით, ფაქტიურად შემოსულია 5306649,32ლარი, გეგმის 80%-ი. 2020 წლის სამი თვის ფაქტიური შემოსავლები 4 %-ით მეტია 2019 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან.

2020 წლის გადასახადების სამი თვის გეგმა არის – 3 657 243,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 3484122,5ლარი რაც გეგმის 95,3 %-ს შეადგენს.

გრანტები სულ შემოსულია 627072,8 ლარი, რაც გეგმის 129,8 %-ია. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – გეგმა 83,100.0 ლარი– ფაქტი 62400,0 ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად – 234361,80 ლარი. კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 330311ლარი, რაც გეგმის 82,6%-ია.

სხვა შემოსავლების 2020 წლის სამი თვის გეგმა იყო **2 496 812,72** ლარი, სამი თვის ფაქტმა შეადგინა 1 195 454,02 ლარი, რაც გეგმის 47,9 %-ია.

არაფინანსური აქტივების კლება სამი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 80,000.0 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 120146,37ლარი, ანუ გეგმის 150,2 %.

რაც შეეხება 2020 წლის სამი თვის გადასახდელების შესრულებას სულ შეადგენს 6385076,33ლარს. რაც 958280.64 ლარით მეტია შემოსულობებზე და ასიგნებები დაფინანსებულია ნაშთის გამოყენებით. თავისუფალი ნაშთი შეადგენს 4596202.27 ლარს. გადასახდელებში ხარჯები შეადგენს 5245250,05ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 82.1 %-ია არაფინანსური აქტივების ზრდა -1111540,28ლარს, მთლიანი გადასახდელების 17.5 %, გადასახდელების 0.4% - 28286ლარი არის ვალდებულების კლება.

გადასახდელები ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით :

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 342229,53ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 195872,54ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 111149,8ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 407,19ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 34800 ლარი.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 1094077,32 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე – 659770,79ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 361968,95ლარი, გრანტების მუხლით 45,000.0 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 20874,23ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 3123,8 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 3339,55ლარი.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 49145,43ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 41100ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 8045,43.

4. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 21499,99 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №3 შესაბამისად).
5. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 28286ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
6. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 2341ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 1660885,72ლარი. აქედან:
 - 7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე სულ გახარჯულია 575361,62ლარი, აქედან კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 330311ლარი.
 - 7.2 წყლის სისტემების განვითარებაზე გახარჯულია 567485,36ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 356521,53ლარით, შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს 100246.14 ლარს.

რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში გახარჯულია – 200000 ლარი, საკანალიზაციო საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვაზე გახარჯულია სულ 10963,83ლარი.
 - 7.3 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო-ენერჯის ღირებულებაზე გახარჯულია 257694,33ლარი, მოვლა შენახვაზე 56599ლარი (ააიპ „სუფთა მარნეული“), ხოლო 4573,22ლარი არის კაპიტალური ხარჯი.
 - 7.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 22213,85ლარი.
 - 7.5 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 176958,34 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 93709.21 ლარს.
8. მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 449239,07ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 36070,41ლარს, საკუთარი შემოსავლები 238.22 ლარი, დასუფთავება და ნარჩენების გატანა-346040,24 ლარი (ააიპ „სუფთა მარნეული“), მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-58228,42 ლარი(ააიპ „სუფთა მარნეული“), გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები -8900 ლარი.
9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 901083,53ლარი, აქედან:
 - 9.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 681221,71ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე გახარჯულია – 1892,8ლარი.
 - 9.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 217969,02ლარი, აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის 21300ლარი, 58776,41ლარი გახარჯულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით – დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 137892,61ლარი.
10. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2020 წლის სამ თვეში სულ გახარჯული იქნა 450650,7ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა 351346,11ლარით,

სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 96008,59 ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 3296ლარით.

11. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე სულ გახარჯული იქნა 716983,49ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 73479,13ლარი,მ.შ 2500 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 242115,37ლარი.
12. ახალგაზრდობს მხარდაჭერაზე-2500ლარი.
13. ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის ხარჯია 4000ლარი.
14. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი – 401388,99ლარი.
15. 2020 წლის სამ თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 683654,54ლარი. აქედან ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდა 49999,84ლარით. კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში- 85582,55 ლარი,ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით 355083,35ლარი, საიდანაც 17000,00 ლარი არის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით გახარჯულია 191988,8ლარი, აქედან 2000 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1,000 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

ვუგარ მამედოვი